პოლიბიოსის და ავგუსტინეს პოლიტიკურ სამართლებრივი შეხედულებები

პოლიბიოსი იკვლევს საზოგადოების განვითარებას, მისი აზრით საზოგადოება ვითარდება, მიაღწევს გარკვეულ წერტილს, რის შემდეგაც თავის პირვანდელ ფორმას უბრუნდება და ა.შ. სახემწიფო განიცდის აღმოცენება-განვითარებას, აყვავებასა და დაცემას. ამ გადასვლებს თან ახლავს სახელმწიფო ფორმათა ცვალებადობა. პოლიბიოსი ასე აყალიბებს სახემწიფო ფორმების ცვალებადობას: პირველად ყალიბდება მონარქია, რომელსაც ცვლის ტირანია და რომელიც ძალადობით ხასიათდება. ტირანიას ცვლის არისტოკრატია, ხოლო არისტოკრატია, პოლიბიოსის აზრით სახელმწიფოს აყვავების მაჩვენებელია, მაგრამ შემდეგში ადამიანთა ზნეობის დაქვეითების გამო არისტოკრატიას ოლიგარქია ცვლის, რომელსაც სახელმწიფოს ერთი მუჭა მდიდრები განაგებენ, ასევე ოლიგარქიას ცვლის დემოკრატია, მისი აზრით, დემოკრატია არის სახელმწიფოს რღვევის მაჩვენებელი, იმ მხრივ, რომ მართალია თავდაპირველად ხალხის ფართო მასები განაგებდნენ სახელმწიფოს, მაგრამ შემდგომ სხვის ხარჯზე ცხოვრებას მიჩვეული ბრბო ირჩევს ბელადად პატივივმოყვარება დემაგოგს, თვითონ კი განს გადგებიან , საბოლოოდ დემოკრატია ოხლოკრატიად იქცევა. პოლიბიოსი ასევე გამოთქვას მოსაზრებას სახელმწიფოს შერეული ფორმების შესახებ, რომელიც შეიცავს მონარქიის, არისტოკრატიის და დემოკრატიის ელემენტებს.
ავგუსტინე ასაბუთებდა აუცილებელ მორჩილებას ეკლესიისადმი, იგი მიუთითებდა , რომ მართალია ადამიანს გააჩნია თავისუფლება, მაგრამ ეს გამოიხატება მხოლოდ მისწრაფებაში ჩაიდინოს ცოდვები, ცოდვებისაგან ხსნა კი ღმერთის წყალობითაა შესაძლებელი. ავგუსტინეს აზრით, სახელმწიფო არის ადამიანთა გაერთიანება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი კავშირით, იგი ორგვარ სახელმწიფოს იცნობს მიწიერსა და ღვთიურს. საზოგადოებას კი ორ ნაწილად რჩეულებად და განწირულებად. მისი აზრით, მხოლოდ ღვთაებრივი სახელმწიფო ანუ, ეკლესია არის ჭეშმარიტი ასევე მონობა უსამარტლობაა, მაგრამ იგი დაწესებულია ცოდვების საზღაურად ღმერთის მიერ და ამიტომ უნდა იარსებოს. იგი მოითხოვს სახელმწიფოს მორჩილებას ეკლესიისადმი და მისი წესების დამრღვევთა მკაცრად დასჯას.

ციცერონის პოლიტიკური შეხედულებები

მისი შეხედულებები სახელმწიფოს შესახებ ჩამოყალიბებულია მის შრომებში. იგი სახელმწიფოს განმარტავს როგორც ხალხის საქმეს. მაგრამ მას ხალხად მიაჩნია ადამიანთა არა ყოველგვარი ერთობა, არამედ , ხალხი წარმოადგებს ადამიანთა ისეთ გაერთჯანებას, რომელიც დაფუძნებულია სამართლის ერთობასა და საერთო სარგებლიანობაზე. ციცერონის აზრით, სახელმწიფო დაფუძნებულია სამართლიანობაზე, იგი არ ეთანხმება მათ ვინც აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ემყარება ძალმომრეობას. იგი არ აღიარებს ძალადობასა და თვითნებობაზე დაფუძნებულ სახელმწიფოს, იგი ასევე უარყოფს სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულების თეორიასაც. ციცერონი სახელმწიფოს წარმოშობის საკითხებს ემხრობა არისტოტელეს, ამ უკანასკნელის აზრით კი, სახელმწიფო არის შედეგი იმის, რომ ადამიანებს ერთად ცხოვრებისა და ურთიერთობის ჩვევა აქვთ, ციცერონის აზრით, ყველა სახელმწიფოს დანიშნულებაა მოქალაქეთა ქონებრივი ინტერესების დაცვა, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლების უპირველესი დანიშნულება საკუთარი ინტერესების დაცვა. ციცერონი იზიარებს პოლიბიოსის შეხედულებას სახელმწიფოს ფორმებზე და უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფოს შერეულ ფორმას. მისი აზრით პოზიტიური სამართალი ბუნებითი სამართლის შედეგია. იგი სამართლის არსს ჭვრეტდა გონიერებაში და აცხადებდა , რომ თუ მოქმედი კანონები ეწინააღმდეგებიან სამართლიანობას, მაშინ ისინი არ წარმოადგენენ კანონებს. მისი აზრით რომის სამართალი ბუნებითი სამართლის ნაწილია, მაგრამ მასში არის კანონები რომელიც უსამართლოა, იგი ასევე ერთმანეთისგან ასხვავებს უსამართლო და სამართიან ომებს.

რომაელ სტოელთა პოლიტიკური შეხედულებები

სტოიციზმის ძირითადი წარმომადგენლები იყვნენ სენეკა, ეპიქტეტე და მარკუს ავრელიუსი. სენეკა იყო სენატორი, იმპერატორ ნერონის აღმზრდელი და წამყვანი სახელმწიფო მოღვაწე. იგი საბოლოოდ იძულებით თვითმკველობამდე მივიდა , თავისი სასტიკი მოღვაწის ბრძანებით. სენეკა იცავდა ყველა ადამიანის სულიერი თანასწორობის იდეას, მათ საზოფადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად. მისი აზრით, მონობის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანის სხეული მისი გრძნობადი ნაწილი და არა სულიერი, იგი აღნიშნავდა , რომ მონობა არ ვრცლდება მთელ პიროვნებაზე, მისი საუკეთესო ნაწილი თავისუფალია მონობისაგან, მხოლოდ სხეული ემორჩილება და ეკუთვნის ბატონს, სული კი საკუთარი თავის მეუფეა. სენეკა არ უარყოფს მონობას როგორც სოციალურ-პოლიტიკურ იმუნიტეტს, თუმცა იცავს მონის ადამიანურ ღირსებას და მის მიმართ ჰუმანურ დამოკიდებულებას ქადაგებს. ყველა ადამიანი თანასწორია იმ გაგებით, რომ ისინი ერთიანად იმყოფებიან ბედისწერის გავლენის ქვეშ. სენეკა ბედისწერას თვლიდა ყველა მიზეზთა მიზეზად. სამყარო სენეკას თანახმად, არის ბუნებითი სახელმწიფო თავისი ბუნებითი სამართლით, სახელმწიფოს წევრებად ბუნებითი სამართის მიხედვით ითვლება ყველა ადამიანი, რაც შეეხება ცალკეულ სამყაროთა წარმონაქმნებს, ისინი შემთხვევითები არიან და მნიშვნელობა აქვთ არა მთელი კაცობირობისთვის, არამედ ადამიანთა შეზღუდული რაოდენობისათვის.

რომაელი იურისტების პოლიტიკური შეხედულებები

ძველი რომის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელობანი ადგილი ეკავათ რომაელ იურისტებს, რომლებსაც კონსულტაციებისათვის მიმართავდნენ, როგორც კერძო, ისე თანამდებობის პირები, თვით იმპერატორიც, რომაელი ირუსიტების აზრით სამართალი სამ ნაწილად იყოფოდა:
1) ბუნებითი სამართალი 2)ხალხთა სამართალი 3) ცივილური სამართალი. მათი აზრით ბუნებითი სამართალი არის ის სამართალი რომელიც გამომდინაერობს ბუნებიდან და აწესებს არამარტო ადამიანთა, არამედ ცხოველთა ქცევის წესებსაც, ხალხთა სამართალი- ეს ის სამართალია, რომლითაც რეგულირდება რომში შემავალი არარომაელი მოსახლეობის სხვადასხვა ურთიერთობები. ცივილური სამართალი კი შედგენილი იყო მხოლოდ რომაელ მოქალაქეთათვის, ცივილური სამართლით რეგულირდებოდა რომის მოქალაქეთა მრავალმხრივი ურთიერთობები. სამართის კლასიფიკაციისთვის პირველად რომაელებმა შემოიღეს სამართლის საჯარო და კერძო სამართლად დაყოფა. საჯარო სამართლად იყო მიჩნეული ყველაფერი ის რაც ეხებოდა სახელმწიფო ინტერესებს, ხოლო კერძო სამართალი იცავდა და არეგულირებდა კერძო პირთა ურთიერთობებს. მხოლოდ რომაელი მოქალაქე ითვლებოდა სამართლის ობიექტად, ხოლო მონები კი ნივთებად ითვლებოდნენ. რომაელმა იურისტებმა საფუძვლიანად დაამუშავეს კერძო საკუთრების ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ ამ საკითხების გადაწყვეტისას მათ შორის გათიშვა მოხდა, ეს გათიშვა კი კარგად ჩანს რომაელ იურისტთა ორი სკოლის 1) საბინუსიანელთა და 2)პროკულუსიანელთა მოძღვრებაში. პირველნი პრინციპატის მომხრეები არიან, ხოლო მეორენი კი რესპუბლიკისა, მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაა, საბინუსიანელთა აზრით განმსაზღვრელი არის საკუთრება და არა შრომა, მაშინ როცა პროკულუსიანელები შრომას ანიჭებენ გადამწყვეტ მნიშნველობას.

თომა აკვინელის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალძე

თომა აკვინელის ამოსავალი დებულებიშ მიხედვით გონება უნდა ემორჩილებოდეს რწმენას, იგი ამართლებს მონობას. იგი მომხრე და დამცველია ადამიანთა უთანასწორობისა, იგი ამართლებს ფეოდალურ იერარქიას, მისი აზრით, მიწათმოქმედნი და გლეხობა, რომელიც სარჩოს მიწაზე მუშაობით

პოულობს. საზოგადოების უმდაბლეს ფენას წარმოადგენს. ისინი არშეიძლება მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მართვაში, ამავე ჯგუფს მიაკუთვნებდა იგი ხელოსანთა კლასს. საზოგადოების საშუალო კლასში აერთიანებს მეომრებს, მოსამართლეებს, ადმინისტრატორებს, მდიდრებს, აზნაურებს, სახელმწიფოს საკითხებში იყენებს არისტოტელეს მოძღვრებას, მაგრამ მასში შესწორებებიც შექვს, არისტოტელე თვლიდა, რომ სახელმწიფოს დანიშნულება ადამიანთათვის სიკეთის მინიჭებაა, ტომა აკვინელი კი მიუთითებს, რომ ამის განხორციელება ღმერთისა და ეკლესიის შემწეობითაა შესაძლებელი , მისი აზრით, ადამიანს არ შეუზლია სრულ ბედნიერებას მიაღწიოს დედამწიაზე, ეს მხოლოდ სამოთხეშია შესაძლებელი. მისი აზრით, ხელისუფლებას უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდნენ ადამიანები დაბალი თანამდებობები მაღალს, მაგრამ დადგენილი უნდა იყოს მორჩილების საზღვრები. იგი დასაშვებად მიიჩნევს ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებს იმ შემთხვევაში თუ 1) ხელისუფლება უკანონოდაა ჩაგდებული ხელში 2) თუ ხელისუფლება ბოროტად გამოიყენება 3) თუ ირღვევა ღვთიური კანონები. მისი აზრით სახელმწიფოს ყველაზე უკეთესი მმართველობის ფომრა მონარქიაა, მისი აზრით მონარქი იგივეა სახელმწიფოში, რაც ღმერთი სამყაროში, სადაც ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის ადგილი აქვს ანარქიას. იგი სამართალსა და მორალს ვერ ასხვაავაებს და კანონებს ოთხ კატეგორიად ყოფს: 1) მუდმივი კანონები 2) ბუნებითი კანონები 3)ადამიანური კანონები 4)ღვთაებრივი კანონები. ბუნებითი კანონები იგივე მუდმივი კანონებია, ხოლო ადმიანური კანონები კი არის დადებითი სამართალი, ისინი არ შეიძლება დაემთხვნენ ბუნებით კანონებს. იგი ასევე განასხვავებს ხალხთა და პოზიტიურ სამართალს, ასევე მისი აზრით კერძო საკუთრება არ ეწინააღმდეგება ბუნებით სამართალს.

მარტინ ლუთერისა და თომას მიუნცერის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ

გერმანიაში ჩამოყალიბდა ორი დიდი ოპოზიციური ბანაკი 1) ლუთერიანელები 2) რევოლუციური, ორივე ბანაკი ფეოდალიზმის დამხობის წინააღმდეგ იბრძოდა. ლუთერიანელურ ბანაკს ლუთერი ხელმძღვანელობდა მარტინ ლუთერი აცხადებდა, რომ საეკლესიო კანონების შესრულების მოთხოვნა მოგონილია სამღვდელოებათა მიერ, რათა ხალხი მორჩჯლებაში ამყოფოს. იგი მომხრეა რელიგიის, იგი არ აღიარებს მათ ავტორიტეტებს და ასაბუთებს აზრის და სინდისი თავისუფლებას. ლუთერი მიუთითებს, რომ რწმენა ნებაყოფლობითი უნდა იყოს. იგი გამოთქვამს მოსაზრებას ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მისი აზრით სახელმწიფო უნდა ეხმარებოდეს ეკლესიას, ხოლო ქრისტიანები კი უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდნენ, ლუთერის აზრით ,სახელმწიფო გონიერების შედეგია. თომას მიუნცერი მხარს უჭერდა ანტიბაბტისტებს, რომლებიც ქონებრივ თანასწორობას ქადაგებნდნე, თუმცა იგი ბოლომდე არ იზიარებდა მათ შეხედულებებს. იგი იბრძოდა არა მარტო ეკლესიის, არამედ არსებული წეს წყობილების წინააღმდეგაც. იგი აღიარებდა, რომ ქრისტე ჩვეულებრივი ადამიანი იყო და უარყოფს მის ღვთიურ წარმოშობას. იგი უარყოფდა საიქიოს დაყოფას ჯოჯოხეთად და სამოთხედ. იგი მოითხოვდა წყობილების დამყარებას, რომელშიც არ იქნებოდა კლასები და კერძო საკუთრება, ხოლო საზოგადოება თანასწორი ხოლო ქონება კი საერთო უნდა ყოფილიყო.

მარსელიო პადუელისა და ჟან კალვინის შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ

პაპის წინააღმდეგ გამოდიოდა მარსელიო პადუელი, რომლის აზრითაც, ყველა წევრი ფიზიკურად და სულიერად ბედნიერი უნდა იყოს. სახელმწიფოს წარმოშჯბას წინ უძღოდა ოჯახი, გვარი, ტომი და ქალაქი. მისი აზრით საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს. მმართველობის უმჯობეს ფორმად კი მონარქია მიაჩნია და უპირატესობას იგი არჩევით მონარქიას ანიჭებს. იგი სახელმწიფოს ექვს წოდებად

ყოფს: მიწათმოქმედთა, ხელოსანთა, ვაჭართა, სასულიერო, ადმინისტრაციული და სამხედრო წოდებებად. მისი აზრით სამღვდელოება არ უნდა აიძულებდეს ხალხს რელიგიური კანონების შესრულებას. მისი აზრით სახარება არა კანონი, არამედ სწავლებაა. იგი რწმენისა და სინდისი თავისუფლებას ქადაგებს. ჟან კალვინის თანახმად ღმერთმა წინასწარ განუსაზღვრა ადამიანთა ერთ კატეგორიას გადარჩენა და ნეტარება, ხოლო მეორე კატეგორიამ აუცილებელი დაღუპვა. ადამიანებს არ ძალუძთ ღმერთის ნების შეცვლა, მათ შეუძლიათ მხოლოდ ამოირჩიონ რომელ კატეგორიას ეკუთვნიან და წარმართონ თავიანთი საქმიანობა, კალვინიზმის დოგმატი გულისხმობდა საკუთარი თავის მიძღვნას პროფესიისადმი, კალვინმა გაატარა ძირეული ეკლესიური რეფორმა, იგი ყოველთვის აკრიტიკებდა ფეოდალურ-მონარქიულ წესებს, ზალადობას, თვითნებობას და მათ ღვთიურ სასჯელს უწინასწარმეტყველებდა, მისი აზრით აშკარა დაუმორჩილებლობა და ტირანის დამხობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა გამოყენებულია ლეგალური ფორმები.

ჟან ბოდენის პოლიტიკურ სამართლებრივი შეხედულებები

მისი მოძღვრება მთლიანად თავისუფალია რელიგიური დოგმატების ზეგავლენისაგან. იგი საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების გადამწყვეტ ფაქტორად კლიმატს ასახელებს. ჩრდილოეთის კლიმატი ხელს უწყობს ადამიანში მამაცობის გრძნობის გამომუშავებას. ისინი სამხედრო ორგანიზაციებად ყალიბებიან. სამხრეთის კლიმატი ხელს უწყობს გონებრივ განვითარებას, ხოლო ზომიერი კლიმატის მქონე ქვეყნებში განვითარებულია ადამიანთა დაინტერესება პოლიტიკითა და ორატორული ხელოვნებით. მისი აზრით, ყველაზე დიდ გავლენას საზოგადებრივ ცხოვრებაზე ახდენს კანონიერება და ზნეობა. სახელმწიფოს საფუძველს კი ოჯახი წარმოადგენს. მისთვის ცხადია, რომ ოჯახი და სახელმწიფო არ წარმოადგენს ერთი და იგივე ცნებას და განასხვავებს მათ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სუვერენიტეტით, მუდმივობით, სახელმწიფოებრივი ხელისუფლებით, რომელიც ყველა კანონზე მაღლა დგას. ჯან ბოდენი ფიქრობს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შეიძლება შეიზღუდოს ბუნებითჯ კანონითა და კერძო საკუთრების არსებობით, იგი ცდილობდა სამეფო ხელისუფლების შეთავსებას წარმომადგენლობით ორგანოსთან. იგი დემოკრატიის შესახებ უარყოფით აზრებს გამოთქვამს, მისი აზრით ხალხის ხელში ხელისუფლების ჩავარდნა ანარქიის დამყარებას გამოიწვევს. იგი არც არისტოკრატიას აქებს და მისი აზრით, ერთადერთი მისაღები ფორმა მონარქიაა, რომელსაც შემდეგნაირ სახეებად ყოფს. 1) კანონიერი მონარქია - მემკვიდრეობითი 2) სენიორული მონარქია - ძალადობრივი გზით 3) ტირანია - მონარქიის შერყვნილი ფომრა. იგი ასევე ასახელებს მიზეზებს რაც საზოგადებრივ გადატრიალებას იწვევს ესენია მკვეთრი ქონებრივი განსხვავება და ჩაგვრის სიმკაცრე.

ნიკოლო მაკიაველის პოლიტიკურ სამართლებრივი შეხედულებები

ნიკოლო მაკიაველს სურდა იტალიის გაერთიანება, მისი სიძლიერე და თავისუფლება. მან ერთ-ერთმა პირველმა სცადა ჩამოეშორებინა ბურჟუაზიული პოლიტიკური მეცნიერებისთვის, რელიგიური სამოსელი. იგი უარყობს არა მარტო საეკლესიო ნორმებს, არამედ მორალსაც. მისი აზრით სახელმწიფოს ისტორიით შეიძლება დადგინდეს მისი მომავალი და თვლიდა რომ ყველა სახელმწიფოში ყველა ხალხს გააჩნია ერთი და იგივე მისწრაფებები. ამასთან ადამიანს უფრო დიდი მიდრეკილება აქვს ბოროტებისადმი ვიდრე სიკეთისადმი, ადამიანები ყოველთვის უკმაყოფილოები, ცრუები და ცბიერები არიან ერთმანეთის მიმართ, ამიტომ სახელმწიფოს გამგებლებმა უნდა უარყონ მოარალი, რათა უკეთესად განახორციელონ მოვალეობები. მაკიაველი საერო ნაციონალური სახელმწიფოს მომხრეა, რომელიც თავისუფალია ეკლესიისაგან. მისი აზრით, ეკლესიას და რელიგიას მხოლოდ და მხოლოდ ის დანიშნულება გააჩნიათ

ხელი შეუწყონ სახელმწიოფს ძლიერებას. სახელმწიფოს მმართველობის ფორმებიდან მაკიაველი რესპუბლიკის მომხრეა და თვლის , რომ რესპუბლიკა ხელს უწყობს ხალხის კეთილდღეობას. იგი პოლიტიკური თავისუფლების მომხრა და არ უარყოფს სახელმწიფოს მეორე ფორმას მონარქიას, მისი აზრით, ძლიერი სახელმწიფოს შესაქმნელად ზოგჯერ არაკანონიერი საშუალებებიც კი უნდა გამოიყენოს მონარქმა. იგი რეკომენდაციას აზლევს მთავარს იყოს ულმობელი და მკაცრი, რათა მის ქვეშემრდომებს ეშინოდეთ მისი. იგი კერძო საკუთრების ხელშუეხებლობას ქადაგებს და სხვისი ქონების მიტაცებას გულისხმობს. დიდ მნიშნველობას ანიჭებდა კანონებს, მისი აზრით, თუ არ არსებობს ძლიერი სახელმწიფო , არ შეიძლება არსებობდეს კარგი კანონებიც.

იდეალური სახელმწიფო წყობა თომას მორის „უტოპიის“ მიხედვით

თომას მორის ნაწარმოებ „უტოპიაში“ აღწერილია საზოგადებრივი წყობა და ის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელიც კაცობრიობისთვის უცნობ კუნძულ უტოპიაზე ხდება. ნაწარმოებს დიალოგის ფორმა აქვს. თომას მორი მიუთჯთებს, რომ საზოგადოება თვითონ არის დამნაშავე ამ პირობების შექმნაში, რაც ადამიანს დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგებს, ამ სულიერ უბედურებათა საფუძვლად მორი მიიჩნევს კერძჴ საკუთრებას, მისი აზრით, კერძო საკუთრება უნდა გაუქმდეს. იგი აღწერს იდეალურ საზოგადებას, რომელიც არსებობს უტოპიაზე. უტოპიის ყველა მცხოვრები მისდევს ხელოსნობასა და მიწათმოქმედებას, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ შრომისუნარიანი ოჯახის წევრები ქალაქიდან სოფლად იგზავნება, ქალაქში ისინი ეუფლებიან ხელოსნობას. მაგრამ სოფლად გაგზავნის მიზანია დაეუფლონ მიწათმოქმედებას და მოიყვანონ მოსავალი. საზოგადოების ყველა წევრს უტოპიაში მტკიცედ აქვს მიჩენილი საცხოვრებელი ადგილი, ერთი ადგილიდან მეორეში თვითნებურად გადასვლა არ შეიძლება. შრომა ყველასათვის სავალდებულოა. ფიზიკური შრომისგან გათავისუფლებულები მხოლოდ მეცნიერები და ადმინისტრატორები არიან. მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებენ მონები. მონებად ითველიან სასამართლოს მიერ გასამართლებული დამნაშავეები და სამხედრო ტყვეები. პროდუქტები იგზავნება დიდ საწყობებში, საიდანაც ოჯახის უფროსი ღებულობს მისთვის საწირო სურსათს ოჯახის გამოსაკვებად. ყოველი უტოპიელის სახლი და კარმიდამო სახელმწიფოს საკუთრებაა.. მისი განაწილება ფარული კენჭისყრით ხდება ათ წელიწადში ერთხელ. ოჯახების თავში უხუცესი დგას, განქორწინება კი არ ხდება მაგრამ უკიდურეს შემთხვევეაში განქორწინებას სასამართლო წყვეტს, ხოლო ვისი მიზეზითაც მოხდა განქორწინება მას ეკრძალება მეორე ქორწინება. უტოპიაში სახელმწიფო ხელისუფლება მოწყობილია დემოკრატიულ საწყისებზე. ყველა თანამდებობა არჩევითია გარკვეული ვადით, გარდა მონარქისა, რომელსაც მართალია ირჩევენ მაგრამ უვადოდ. ასევე უტოპიაში კანონები ცოტაა, ხოლო კანონმდებლად ითვლება თითქმის ყველა მოქალაქე. ყველა მოქალაქეს შეუძლია იყოს ამა თუ იმ სარწმუნოების თუმცა დაუშვებელია ათეიზმი.

იდეალური სახელმწიფო წყობა კამპანელას „მზის ქალაქის“ მიხედვით

კამპანელას უმთავრეს ნაშრომს წარმოადგენს „მზის ქალაქი“, რომელშიც იგი თავის უტოპიურ შეხედულებებსა და იდეებს ავითრებს. მზის ქალაქშჯ არ არსებობს კერძო საკუთრება და შრომა სავალდებულოა ყველასათვის. მოსახელობა პროფესიას არჩევს იმისდა მიხედვით, რისი უნარი და მიდრეკილებაც გააცნია, მაგრამ მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და სამხედრო საქმე ყველასათვის სავალდებულოა. ამ ქალაქში არ არსებობს არავითარი საკუთრება, ამიტომ ადამიანები კიარ ემსახურებიან ნივთებს, არამედ ნივთები ემსახურებიან ადამიანებს. კამპანელას სახელმწიფოში თვეში ორჯერ ხდება დიდი საბჭოს სხდომა რომელშიც მონაწილეობას ღებულობს 20 წლს მიღწეული ყველა მოქალაქე. ამ

სხდომაზე ხდება მაღალ თანამდებობაზე კანდიდატთა შერჩევა და თანამდებობების პირთა შეცვლა. კამპანელას იდეალურ სახელმწიფოს სათავეში დგას ერთმმართველი სასულიერო პირი, რომელიც იწოდება „მზედ“. სახელმწიოს მართვის საქმეში მას ეხმარება სამი თანაშემწე - პონი, სინი და მორი, რაც ნიშნავს ძალას, სიბრძნესა და სიყვარულს. ძალა ომისა და მშვიდობის საქმეს ხელმძღვანელობს, სიბრძნეს ევალება მეცნიერებისა და ხელოვნების ხელმძღვანელობა , სიყვარულს კი - გამრავლება, აღზრდის , მედიცინისა და ა.შ. კამპანელა თეოკკრატიულ პრინციპებს ქადაგებს , დიდ მნიშნველობას ანიჭებს სამხედრო სამქეს. სამხედრო საქმე, კამპანელას აზრით, ყველას ვალდებულებაა, როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის. მზის ქალაქში კანონები ძალიან ცოტა, მოკლე და მარტივია. კამპანელა ერთმანეთში ურევს სამართალსა და მორალს, დანაშაულსა და ცოდვას, ამასთან მოითხოვს რომ მართლმსაჯულებას სასულიერო პირები ახორციელებდნენ. სასჯელის მიზანს კი დამნაშავის გამოსწორება წარმოადგენს.

ჰუგო გროციუსის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე

გროციუსის მიხედვით, ადამიანის საზოგადოებისაკენ სწრაფვა, რაც მის ბუნებაშია ჩადებული, გამომდინარეობს მთელი რიგი მოთხოვნილებებიდან ესენია: სხვისი ქონებისაგან თავის შეკავება, მიღებული სხვისი ნივთის უკან დაბრუნება, პირობის შესრულება, ზარალის ანაზღაურება, ყოველივე ამას გროციუსი ბუნებითი სამართლის ნორმებად მიიჩნევს. გროციუსი განასხვავებს როგორც ბუნებით ასევე ღვთიურ სამართალს, ასევე ადამიანურ სამართალსაც , რომელსაც თავის მხრივ ორ ნაწილად ყოფს ქვეყნის შიგნით მოქმედი სამართალი და ხალხებს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი სამართალი. მისი აზრით ღვთიური და ადამიანთა სამართალი ცვალებადია, ხოლო ბუნებითი უცვლელი. სახელმწიფო გროციუსის აზრით ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობის შედეგია, რომელიც შეიქმნა ხელშეკრულების დადებით. იგი ასაბუთებს რომ სუვერენიტეტის მატარებელი არა ხალხი, არამედ ხელმწიფეა. მისი აზრით, კერძო საკუთრება წარმოიშვა ადამიანთა შეთანხმების შედეგად, საკუთრების უფლება ადამიანის ნებიდან გამომდინარეობს, ადამიანის ნების გარეშე სხვისი საკუთრები დაუფლება - არამართლზომიერია. საკუთრების უფლებას გროციუსი განმართავს, როგორც ნივთის განკარგვის ან გასხვისების შესაძლებლობას. მას ასევე საყურადღებო მოსაზრებები გააჩნია საერთაშორისო სამართლის საკითხებზე. იგი მოითხოვდა საომარი მოქმედებების ჰუმანური წესების შემოღებას, კერძოდ, ადამიანურად მოპყრობოდნენ სამხედრო ტყვეებს, შეებრალებინათ ბავშვები და ქალები. მისი აზრით, საერთაშორისო ურთიერთობებს საფუძვლად უნდა ედოს სამართალი და სამართლიანობა, ესაა საერთო სახალხო სამართალი.

სპინოზას შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე

სპინოზას პოლიტიკური შეხედულებების გასარკვევად საჭიროა გავარკვიოთ მისი ფილოსოფიური კრედო. სპინოზა მეტაფიზიკური - მექანისტური მატერიალიზმის წარმომადგენელია. მისი აზრით, ბუნება ღმეთებისაგან არ არის შექმნილი, არამედ ღმერთი და ბუნება ერთი და იგივეა. ბუნებაში მისი აზრით, ყველაფერი ხდება ისე, როგორც აუცილებელია. შმეთხევითობას ადგილი არა აქვს. რაც შეეხება სილამაზესა, სიბოროტესა და სხვა ისინი ადმაიანთა წამოდგენებითა და შეფასებებითაა განსაზღვრული. სახელმწიფოს წარმოშობას სპინოზა ბუნებრივი აუცილებლობით ხსნის, იგი აღნიშნავს, რომ ადამიანი მაშინ არის კარგად,

როდესაც მასზე ბატონობს გონება, ხოლო ადამიანის გონება კი კარნახობს ადამიანს სხვა ადამიანებთან ერთად იცხოვროს, რადგან მარტოდმარტო იგი ვერ შესძლებს იმის მოპოვებას ,რაც ცხოვრებისთვისაა საჭირო. სახელმწიფო არის ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია დაიცვას საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მისი აზრით, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს და არ უნდა ხელყოს ადამიანის აზრი და რელიგიური თავისუფლება, თუმცა ასევე მოითხოვს რელიგიური თავისუფლების საზღვრებს. იგი ასევე აკრიტიკებს საეკლესიო კულტის მსახურთ, რომლებიც ახშობენ აზრის თავისუფლებას. სპინოზა სახელმწიფოს საუკეთესო წყობად მიიჩნევს ისეთ წყობას, სადაც უზრუნველყოფილია მშვიდობა, უშიშროება და ადამიანთა თავისუფლება. სპინოზა გადაჭრით უარყობს შეუზღუდულ მონარქიას, მისი აზრით სახელმწიფო ხელისფულება უნდა შეიზღუდოს წარმომადგენლობითი დაწესებულებებითა და სასამართო კოლეგიებით.

თომას ჰობზის შეხედულებანი სამართალსა და სახელმწიფოზე

თომას ჰობზი მექანიკური მატერიალიზმის წარმომადგენელია, მისი აზრით, სამყარო შედგება უწვრილესი ნაწილაკების - ატომებისაგან, ამასთან ატომები არ ქრება და არც ახალი წარმოიშობეა, არამედ ისინი მარად არსებობს. ჰობზი სახელმწიფოს განიხილავს როგორც დიდ მექანიზმს, რომელიც წარმოიქმნა ადამიანთა მისწრაფებებსისა და მიდრეკილებების მოძრაობის შედეგად. სახელმწიფოს წარმოშობის ასახსნელად ჰობსი ცდილობს გაარკვიოს, თუ რას წარმოადგენს ადამიანი. იგი არ ეთანხმება ჰუგო გროციუსს, რომელიც ასაბუთებდა, რომ ადამიანი საზოგადოებრივი მიდრეკილების მქონეა. ჰობზის აზრით, ადამიანების სახელმწიფოში გაერთიანება სიყვარულის მიზეზით კიარ ხდება, არამედ შიშისა და ეგოისტურობის, სხვაზე გაბატონების სურვილის მიზეზით. მისი აზრით, ადამიანები ბუნებით მდგომარეობაში ერთმანეთისადმი მტრულად იყვნენ განწობილნი. ეშინოდათ და სძაგდათ ერთმანეთი. ჰობზს მშვიდობის დასამყარებლად საჭიროდ მიაჩნდა დადებულიყო საზოგადოებრივი ხელშეკრულება, რაც ადამიანებს ბუნებითი მდგომარეობიდან გამოიყვანდა და ადამიანთა ურთიერთობის ახალ ფორმას - სახელმწიფოს შექმნიდა. ბუნებითი კანონებიდან ჰობზს გამოჰყავს არაძირითადი კანონები, როგორიცაა: სიკეთის გამოვლინიების მოვალეობა, წყენინების პატიება, სხვებისადმი პატივისცემა, ადამიანთა თანასწორობის ცნობა და სხვა. მისი გაგებით ბუნებითჯ კანონები მორალის ნორმებია, რომლებიც უცვლელია, ხოლო მისი მოთხოვნები - მუდმივი. ადამიანებმა უნდა უარყონ „ბუნებრივი“ უფლებები და დაემორჩილონ სახელმწიფო ხელისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ კვლავ ანარქია, მტრობა და შური ელით. სახლემწიფო ხელისუფლება იგივეა სახელმწიფოში, რაც სული ადამიანის ორგანიზმში. ჰობზი ერთმანეითსაგან განასხვავებს სახელმწიფო ფორმებს, თუ ხელისუფლებას სათავეში უდგას ერთი პირი - მონარქიაა, თუ რამდენიმე რჩეული- არისტოკრატია, იგი ხელისფულების დანაწილების წინააღმდეგია.

ინდენპენდენტებისა და ლეველერების პოლიტიკური შეხედულებანი

ინდეპენდენტების პარტია უმთავრესად საშუალო ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესებს გამოხატავდა. ინდეპენდენტთა მოძღვრება წარმოადგენდა პურიტანიზმის ანუ რელიგიური მოძრვრების მიმდინარეობას, რომელიც მიმართული იყო ფეოდალური ეკლესიის წინააღმდეგ. ისინი როგორც რელიგიის თავისუფლებას მოითხოვნდნენ, ასევე არ იყვნენ რესპუბილიკის მომხრენი და შეზღუდულ კონსტიტუციურ მონარქიას მოითხოვნდნენ. წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობის ინტერესებს გამოხატავდა ლეველერების ანუ გამთანასწორებლების პარტია, რომელის წარმომადგენელიც ჯონ ლილბერნი იყო, ის ქადაგებდა რომ სახელმწიფო ხელშეკრულების გზითაა წარმოშობილი, ადმენად, მისი აზრით, თავისუფალმა ინგლისელმა ხალხმა უნდა აღკვეთოს მთავრობის თვითნებობა. ინი ასევე

წინააღმდეგია ზედა პალატის არსებობისა , რომელსაც ინგლისის საზოგადოების განვითარების მუხრუჭად თვლიდა. იგი ასევე საყოველთაო არჩევნების მომხრეა და მიუთითებს რომ მასში მონაწილეობის უფლება გარკვეულ ასაკს მიღწეულ ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს. სამართალ წარმოებას კი უნდა ახორციელებდეს 12 მსაჯული. იგი მიუთითებს თანასწორობას მხოლოდ პოლიტიკური უფლებებისა და არა საკუთრების ხაზით. უღარიბესი გლეხოისა და პროლეტარიატის წარმომადგენლები იყვნენ ე.წ ჭეშმარიტი ლეველერები , რომლევიც კერძო საკუთრების გაუქმებას და სრულ თანასწორობას მოითხოვენ.

ჯონ ლოკის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი

იგი საზოგადოებრივი და პოლტიკური წყობის ბუნებით იდეებს ქადაგებს. ჯონ ლოკი კერძო საკუთრებას თვლის ბუნების მოვლენად, ლოკის აზრით, საკუთრება წარმოიშვა ჯერ კიდევ სახელმწიფოს წარმოშჯბამდე და იგი , როგორც ინდივიდის ერთ-ერთი ბუნებითი უფლება, სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებობს. იგი მიუთითებს რომ მართალია ადამიანთა ბუნებრივი მდგომარეობის დროს თავისუფლება არსებობდა მაგრამ არ შემთხვევაშიც თავისუფლებასა და საკუთრებას გარკვეული საფრთხე ემუქრებოდა. ამიტომ ადამიანებმა თავიანთი უფლებების ნაწილი ნებაყოფლობით დათმეს და იგი სახელმწიფოს გადასცეს. თუმცა ადამიანებმა მთლიანად კი არ გადასცეს თავიანთი უფლებები სახელმწიფო ხელისფულებას, არამედ- ნაწილობრივ, კერძოდ, კი იმ ოდენობით, რაც საჭირო და აუცილებელია მშვიდობის დასამყარებლად. მისი აზრით ამსოლუტური მონარქია არ შეესაბამება ბუნებით მოთხოვნებს. ლოკმა წამოაყენა მოსაზრება ხელისუფლების დანაწილების შესახებ, დანაწილება ხდებოდა 3 ნაწილად 1) საკანონმდებლო - ხელისუფლება გამოსცემს კანონებს 2) აღმასრულებელი- ასრულებს მათ 3) საკავშირო, ანუ ფედერაციული - განაგებს საგარეო პოლიტიკის საკითხებს. საკანონმდებლო ხელისფულებას უნდა ახორციელებდეს პარლამენტი, აღმასრულებელს მთავრობა, ფედერაციულს კი განსაკუთრებული ორგანოები. უმაღლესია საკანონმდებლო ხელისუფლება, მაგრამ ეს ხელისუფლებაც არ არის უმაღლესი და აბსოლუტური. იგი არუნდა ეხებოდეს ადამიანის ბუნებით უფლებებს. ლოკს დასშვებად მიაჩნია ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევა, კერძოდ, მონარქისადმი წინააღმდეგობის გაწევა, როცა იგი ხელისუფლებას ბოროტად იყენებს.

ვოლტერის პოლიტიკური შეხედულებები

ვოლტერის პოლიტიკური შეხედულებები გამოხატულია სხვადასხვა სამეცნიერო ტრაქტატებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში , თჲმცა მას სპეციალური პოლიტიკურ-იურიდიული ნაშრომები არ ჰქონია. იგი აკრიტიკებდა სამღვდელოების სიცრუეს, რელიგიას, წოდებრივ უთანასწორობას, ფეოდალურ იუსტიციას და ერთი სიტყვით, მთელი საფრანგეთის ფეოდალიზმს. იგი აკრიტიკებს კატოლიკურ ეკლესიას, მის უმეცრებასა და ფანატიზმს. იგი უშიშრად მოითხოვს ეკლესიის მიერ გამოტანილი უსამართლო განაჩენების გაუქმებას. ვოლტერს კათოლიკური ეკლესია ყოველგვარი პროგრესის მუხრუჭად მიაჩნია, მისთვის კათოლიკური სამღვდელოება შარლათანები არიან, ხოლო რელიგია -გრანდიოზული სიცრუე. ვოლტერის აზრით, გაუნათლებლობა ყველა უბედურების შედეგია, რასაც მოჰყვება სიცრუე, ცრუმორწმუნეობა, ფანატიზმი. თუმცა, ამ ნაკლის გამოსწორება შესაძლებელია. მიუხედავად კრიტიკისა იგი მაინც ცნობს ღმერთსა და რელიგიას, რომელიც ხალხის ლაგმად მიაჩნია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ხალხის მორჩილებაში მოყვანა. მისი აზრით, თავისუფლება მხოლოდ კანონზე უნდა იყოს დამოკიდებული, ხოლო თანასწორობად მას კანონის წინაშე ფორმალური თანასწორობა მიაჩია. ვოლტერი კერძო საკუთრების მომხრეა, მისი აზრით, მხოლოდ კერძო საკუთრების მფლობელთ უნდა მიეცეს პოლიტიკური უფლებები. იგი განათლებული აბსოლუტიზმის მომხრეა. იგი ასევე დანაშაულისა და სასჯელის თანაფარდობისა და

მკაცრი სასჯელის წინააღმდეგ გამოდიოდა. იგი იბრძოდა ინკვიზიციისა და წამების წინააღმდეგ. მისი აზრით საზოგადოებისადმი ხელმძღვანელობა უნდა გასწიოს საზოგადოების ზედა ფენამ, ხოლო ხალხთა ფართო მასებს კი იგი უნდობლობით ეკიდება და ამბობს რომ : „როდესაც მდაბიო ხალხი დაიწყებს განსჯას, მაშინ ყველაფერი დაღუპულია“.

საკითხები წყაროების მიხედვით
კუნძულ უტოპიის მმართველობა და სოფლის ცხოვრების წესი თომას მორის „უტოპიის“ მიხედვით

ყოველი ქალაქიდან სამი მოხუცი და გამოცდილი მოქალაქე ამაუროტში იკტიბრბს კუნძულის საეთო საქმეთა განსახილველად. ამ ქალაქს უპირატესობა ენიჭება, ვინაიდან იგი ქვეყნის შეუაგულში მდებარეობს და ამდენად მოსახერხებელია ყოველი მხრიდან მივლინებულთათვის მისადგომად. არც ერთი სოფლის ოჯახის შემადგენლობა არ არის ორმოც კაცზე ნაკლები, მათ რიცხვში შედის აგრეთვე ორი მიწერილი მონა. ოჯახის სათავეში დგანან ოჯახის მამა და დედა, პატივცემული და ხანდაზმული ადამიანები ხოლო ყოველი ოცდაათი ოჯახის სათავეში ერთი ფილაქროსი დგას ხოლო თითოეული ოჯახიდან ოც-ოცი კაცი ყოველწლიურად ბრუნდება საცხოვრებელ ქალაქში, ეს ისინი არიან ვინც სოფელში ორი წელი გაატარა, მათ ადგილს კი ქალაქიდან ჩამოსულები იჭერენ. მიწათმოქმედნი ამუშავებენ მიწას, კვებავენ პირუტყვს, იმარაგებენ შეშას და ჩააქვთ ქალაქში როგორც მოეხერხებათ- ხმელეთით ან ზღვით. უტოპიელებს ძალიან ცოტა ცხენი ჰყავთ, თანაც მხოლოდ ფიცხნი და ისნიც მხოლოდ ჯირითში ახალგაზრდობის გასაწვრთნელად. მთელი სამიწათმოქმედო და ტვირთსაზიდი შრომა ხარებს ეკისრებათ. ხარებს ნაკლებად ემართებათ ავადმყოფობა, უფრო ადვილი შესანახი არიან და როცა სამუშაოდ აღარ ივარგებენ შეიძლება მათი საკვებად გამოყენება. ისინი გამოიმუშავებენ ყველაფერს რაც მათ ესაწიროებათ და რაც სოფლად არ არის ისინი ქალაქიდან ღებულობენ, თანაც ძალიან ადვილად, ყოველგვარი სამაგიერო გაცვლის გარეშიე, ქალაქში ყოველთვიურად თავს იყრიან დღესასწაულებზე, როდესაც მოსავლის აღების დღე დგება მიწათმოქმედები შეატყობინებენ ქალაქის ხელისუფალთ თუ რამდენი მოქალაქის გაგზავნაა საჭირო და რადგან მუშაკთა ეს ლაშქარი დროზე და ზუსტად ვადაზე ცხადდება, ისნი თითქმის ერთ მზიან დღეშჯ ამთავრებენ მოსავლის აღებას.

თანამდებობის პირთათვის და ხელობათათვის

ყოველი ოცდაათი ოჯახი თავის მხრივ ყოველწლიურად ირჩევს თანამდებობის პირს, რომელსაც ადრე სიფოგრანტუსი ერქვა, ხოლო ახალ ენაზე ფილაქროსი ჰქვია, ყოველ ათ სიფოგრანტუსს თავის ოჯახებიანად მეთაურობს კაცი, რომელსაც ძველებურად ტრანიბორუსი ერქვა, ახლა კი პროტოფილაქროსად იწოდება. ყველა ქალსა და კაცს ერთი საქმე აქვს- მიწათმოქმედება, რომლისგანაც არავინ თავისუფლდება, პირიქით, მას ყველა სწავლობს ბავშვობიდანვე, ნაწილობრივ სკოლაში მოძვრების დაუფლების გზით, ნაწილობრივ კი ქალაქის ახლომახლო მინდვრებზე, სადაც ბავშვები თითქოსდა სათამაშოდ გაჰყავთ, მაგრამ ისე გამოდის რომ ისინი არა მარტო აკვირდებიან გარემოს არამედ ფიზიკური ვარჯიშის სახით მუშაობენ კიდეც, მიწათმოქმედების გარდა, თითოეული სწავლობს ერთ რომელიმე საკუთარ ხელობას, ჩვეულებრივ ეს ან მატყლის დართვაა ან სელის გამოყვანა, რაც შეეხება ტანსაცმელს იმის გარდა რომ იგი გარეგნულად განსხვავებულია სხვადასხვა სქესის პირთათვის, როგორც მართოხელათათვის, ისე დაქორწინებულთათვის, მისი შეკერილობა ყოველთვის ერთნაირი, უცვლელი და მუდმივია, შესახედად

სავსებით მოსაწონი მოძრაობისათვის მოსახერხებელი და სიცივესა და სიცხესთან შეფარდებული. და აი ამ ტანსაცმელს თითოეული ოჯახი თვითინვე იმზადებს. სამუშაოსას ტანს ტყავით ზერელედ უფარავენ რომელიც თითქმის შვიდ წელს ჰყოფნით, როდესაც ისინი ქუჩაში გამოდიან ზემოდან იცვამენ გრძელ მოსასხამს რომელიც უხეშ ტანსაცმელს ფარავს. სიფოგრანტუსთა უმთავრესი და თითქმის ერთადერთი საქმიანობაა ზრუნვა და დაკვირვება იმაზე , რომ არავინ იჯდეს უქმად. ისინი დღეში 6 საათს მუშაობენ, თავისუფალ დროს კი ყველა სასურველი საქმით კავდება, ზოგი მეცნიერების შესწავლით და ა.შ ასევე ერთ საათს გართობაში, სასიამოვნო საუბრებსა მუსიკის მოსმენასა და მსგავს საქმიანობაში ატარებენ. ის ვინც მეცნიერების შესასწავლად მონდომებულია მას ფარული კენჭის ყრით ებოძება თავისუფლება მის შესასწავლად. უტოპიელებს ყველაფერი უხად აქვთ, რადგან შრომობენ, შესამაბისად მოქალაქ უზრუნველყოფილია, ფიზიკური მონობის შემდეგ დრო გამოიყენოს სულიერი სიამოვნებისა და განათლებისათვის.

ერთმანეთის დამოკიდებულებისათვის

ქალაქების მეტისმეტად მეჩხერად დასახლების ან ჭარბი მოსახლეობის თავიდან ასაცილებლად მიღებულია სიფრთხილის ასეთი ზომა: ყოველ ოჯახში, რომელთა რაოდენობა თითოეულ ქალაქში, მიდამოთა გარდა ექვს ათასს შეადგენს, არ უნდა იყოს ათზე ნაკლები და თექვსმეტზე მეტი მოზრდილი. რაც შეეხება ბავშვებს მათი რაოდენობა არავითარ აღრიცხვას არ ექვმედებარება.ოჯახს სათავეში უცუხესი უდგას, ცოლები ემსახურებიან ქმრებს, შვილები - მშობლებს , და საერთოდ -უმცროსები უფროსებს. ყოველი ქალაქი დაყოფილია ოთხ თანაბარ ნაწილად. თითოეული ნაწილის შუაგულში არის ბაზარი, სადაც ყველაფერია. თითოეული ოჯახის ნახელავი მიაქვთ იქ, საგანგებო სახლებში და სახეობათა მიხედვით ცალობით ანაწილებენ საწყოვებში. იქიდან კი თითოეული ოჯახის უფროსი ითხოვს, რაც სჭირდება და უფულოდ ყოველგვარი სასყიდლის გარეშე მიაქვს შინ. ბაზრებს მიეკუთვნება სურსათის ბაზრები სადაც არა მარტო ბოსტნეული, ხილი და პური გამოაქვთმ არანედ თევზიცა და ხორცეულიც. უტოპიელები პირველ რიგში ზრუნავენ ავადმყოფებზე, რომლებსაც საზოგადოებრივ დაწესებუებებში მკურნალობენ. მათ ოთხი საავადმყოფო აქვთ ქალაქიდან მცირე მანძილის დაშორებით. საავადმყოფოები ძალზედ დიდებია, რადგან გადამდები დაავადებით შეპყრობილნი რაც შეიძლება შორს იყვნენ ჯანმრთელისაგან. მოვლა სათუთი და გულმოდგინეა. სასახლეებში სადილისა და ვახშმისათვის დადგენილ საათებშჯ იკრიბება მთელი სიფოგრანტია, მათ სპილენძის საყვირი მოუხმობს. არავის ეკრძალება სასახლეში სადილობიშ შემდეგ ბაზრიდან საკვების მოტანა სახლისათვის, რადგან ყველამ იცის რომ აქ არავინ არაფერს აკეთებს ტყუილუბრალოდ. სასახლეში ყველა სამუშაოს მონები ასრულებენ.

მემკვიდრეობითი სამთავროებისათვის და შერეული სამთავროებისათვის

მემკვიდრეობით მთავარს, ვისი ქვეშემრდომნიც დიდი ხანია მორცილებენ მის საგვარეულოს, გაცილებით უფრო უადვილდება ძალაუფლების შენარჩუნება, ვიდრე ახალ მბრძანებელს, ვინაიდან საამისოდ მთავრისათვის საკამარისია არ დაარღვიოს წინაპართა მიერ დაფუძნებული წესრიგი და უნარიანად გამოიყენოს ყველა ხელსაყრელი ვითარება. თვით ის მთავარიც კი ვინც დიდი ჭკუითა და გამჭრიახობით არ გამოირჩევა, ყოველთვის შეინარჩუნებს ძალაუფლებას, თუკი რაღაც უჩვეულო და საგანგებო ძალადობის შედეგად არ დაკარგა იგი, მაგრამ კიდევაც რომ დაკარგოს, კვლავ დაიბრუნებს მას, როგორც კი მოძალადეს რაიმე უბედურება დაატყდება თავზე. ხოლო ახალ მთავარს ძალიან უჭირს ძალაუფლების შენარჩუნება. თვით მემკვიდრეობითი მთავარიც კი, რომელმაც ახალი სამფობელო შემოიმტკიცა, გაჭირვებით ინარჩუნებს ძალაუფლებას, იმ ბუნებრივი მიზეზის გამო, რასაც გადატრიალებანი იწვევენ

ახალსამთავროში, ხალხს ჰგონია რომ ახალი მთავარი ძველზე უკეთესი იქნება და ამიტომ როცა დროს იხელთებს აუჯანყდება ამ უკანასკნელს, მაგრამ მალე რწმუნდბეა რომ მოლოდინი გაუცრუვდა და ახალი მთავრი ყოველთვის უარესია ძველზე. ასე რომ ახალი მთავარი იძულებულია გადაიმტეროს ყველა ვინც შეურაცხყო ამ ახალი სამთავროს დაპყრობისას, ხოლო ამასთან არც იმათი მეგობრობის შენარჩუნება ძალუძს, ვინც ხელი შეუწყო მის გამრჯვებას , ვინაიდან ვერასდიდებით ვერ დააკმაყოფილებს მათ ისე სრულად, როგორც ისინი ვარაუდებნდენ და ვერც გადამჭრელ ზომებს მიმართავს მათ მიმართ. ხოლო თუ ამბოხებული ქვეყნების ხელმეორედ დამორჩილება მოხდა , ისინი მარტივად ვეღარ დაიძვრენენ თავს რადგან, მთავარი გადამჭრელ ზომებს მიიღებს და ეცოდინება ყველა სუსტი წერტილი, რომელსაც იგი გაიმაგრებს. საკმარისია მუსრი გაავლოს იქაურ მთავრობას და საგვარეულოს, რომ სამთავროს სრულყოფილად ფლობდეს. გარდა ამისა თუკი მთავარი თავად იმყოფება დაპყრობილ სამთავროში და მის მართვას შორიდან არ ახორციელებს ის უფრო მალე გაიგებს , სამთავროში გაჩენილ პრობლემას და ჩაახშობს, თუკი შორს იქნება და ამ პრობლების შესახებ გაიგებს მაშინ იგი უკვე მთელ სამთავროს იქნება მოდებული. ამასთამ მთავარს ძალაუფლების შესანარჩუნებლად შუეძლია დაარსოს კოლონია რომლის შენახვაც ისეთი ძვირი არ ჯდება როგორც მუდმივად სამხედრო ცხენოსანთა თუ ქვეითთა რაზმების ყოლა.

რა უნდა ახსოვდეს მთავარს სამხედრო საქმესთან დაკავშირებით

მთავარს არ უნდა ჰქონდეს სხვა მიზანი სხვა საზრუნავი და არც სხვა ხელობა, გარდა ომისა, ვინაიდან მბრძანებელს მხოლოდ სამხედრო ხელოვნება შეშვენის, რადგანაც ამ ხელოვნების ძალა ისე დიდია, რომ არა მარტო ხელისუფლებას უნარჩუნებს მას, ვინც მთაავრად შობილა, არამედ კერძო პირსაც აღაზევებს ხოლმე მთავრის სიმაღლემდე. ამ ხელოვნების უგულებელყოფა სამთავროს დაკარგვის უპირველეს მიზეზად გვევლინება, ხოლო მისი ზედმიწევნით ფლობა - სამთავროს დაუფლების საშუალებად. მთავარი არასოდეს არ უნდა ივიწყებდეს სამხედრო საქმეში თვითწვრთნას, რასაც მშვიდობისას უფრო მეტ დროს უნდა უთმობდეს, ვიდრე ომის ჟამს. ამის მიღწევა კი ორი გზით შეიძლება: საქმით და აზრით. რაც შეეხება სამქეს, გარდა იმისა რო გამუდმებით უნდა წვრთნიდეს და საომარ წესრიგს ამყარებდეს თავის ლაშქარში, ხშირად უნდა ნადირობდეს და ამის წყალობით იკაჟებდეს სხეულს და იმდიდრებდეს ადგილმდებარეობის ცოდნას; ახსოვდეს ველ-მინდვრები, მდინარეები, რაც თავის მხრივ თავისი სამფობელოს უკეთ შესწავალაში ეხმარება და მეორე მხრივ აუმჯობესებს ორიენტაციის უნარს რომელიც სხვის ტერიტორიაზე ბრძოლისას გამოადგება, მითუმეტეს ყველა ველ-მინდორი ერთმანეთს გავს. რაც შეეხება გონებრივ წვრთნას, მთავარი ხშირად უნდა კითხულობდეს ისტორიას, და განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს დიდი ადამიანების მოქმედებას, უნდა სწავლობდეს მათ საომარ ხელოვნებას და იხილავდეს მათი გამარჯვებისა თუ დაღუპვის მიზეზებს, რათა ბაძავდეს მათ წარმატებას და თავიდან იცილებდეს მათსავე მარცხს.

იმ თვისებებისათვის, რომელთა გამოც ადიდებენ ან გმობენ ადამიანებს და განსაკუთრებით მთავრებს

ბევრს შეუქმნია, თავისი წარმოსახვით, რესპუბლიკები თუ სამთავროები ,რომლებიც არავის უხილავს და არც ის სმენია, რომ ისინი მარძთლაც არსებობენ სინამდვილეში. მაგრამ ერთია, როგორ ცხოვრობენ და მეორე ის თუ როგორ უნდა ცხოვრობნდნენ კაცნი, და მათ შორის იმხელა სხვაობაა, რომ ვინც იმის გულისთვის, რაც უნდა მომხდარიყო, ივიწყებს იმას, რაც ახლა ხდება- უმალ თავის დამხობას უწყობს ხელს, ვიდრე დღეგრძელობას. მთავრებს კი ხალხი თავისმხრივ მიაწერენ ერთ თვისებას რომლის გამოც ადიდებენ ან ლანძღავენ მას. ერთს გულუხვად თვლიან, მეორეს ძუნწად, ერთს მფლანგველად მეორეს, მეორეს მტაცებლად, ერთს გულქვად, მეორეს გულმოწყალედ, ერთს ორგულად, მეორეს ერთგულად, ერთს ქალაჩუნად და სულმოკლედ, მეორეს მამაცად და დიდსულოვნად, ერთს კაცთმოყვარედ , მეორეს

კაცთმოძულედ, ერთს ბიწიერად, მეორეს უბიწოდ და ა.შ დიდებული იქნებოდა მართლაც, რომ მოიძებებოდეს ყველა იმ თვისებით შემკული მთავარი, რომლებსაც ქების ღირსად თვლიან, მაგრამ რაკი თვით ჩვენი არსებობის წესი შეუძლებელს ხდი იმას, რომ კაცი უკლებლივ ფლობდეს ყველა ამ ღისებას და არასდროს არ ბღალავდეს მათ, ამიტომ მთავარი იმდენად კეთილგონიერი კი უნდა იყოს, რომ თავიდან იცილებდეს მთელს იმ ბიწიერებას, რასაც შეუძლია ძალაუფლება დააკარგვინოს. მას ისიც შეუძლია არაფრად თვლიდეს გმობას ყველა იმ ბიწის გამო, რომელთა გარეშეც ძალზე გაუჭირდებოდა სამთავროს შენარჩუნება. რადგან თუ კარგად ავწონ-დავწონით ყველაფერს, დავრწმუნდებით, რომ არის ზოგი რამ, რაც ერთის შეხედვით შეიძლება სიქველედ მოგვეჩვენოს, მაგრამ გარდაუვალ დაღუპვას უქადის მთავარს, ზოგიც კი ისეთი რამ, რაც შეიძლება ბიწი გვეგონოს მაგრამ სიმშვიდესა და კეთილდღეობას სთავაზობს მთავარს

სისასტიკის, გულმოწყალებისა და კიდევ იმისათვის, თუ რა სჯობია- უყვარდეთ თუ ეშინოდეთ შენი?

მთავარი უნდა ცდილობდეს გულმოწყალე კაცის სახელი მოიხვეჭოს და არა სასტიკის. მაგრამ უთავოდ არ უნდა იყენებდეს გუმოწყალეობას. მთავარი არაფრად არ უნდა აგდებდეს გმობას სისასტიკის გამო, თუკი ამის წყალობით ახერხებს იმას, რომ განხეთქილებისა და განდგომის საშუალება მოუსპოს თავის ქვეშემრდომთ, რადგანაც ის, ვისთვისაც ურჩთა დასჯის რამდენიმე მაგალითიც საკმარისია, გაცილებით უფრო გულმოწყალე იქნება იმაზე, ვინც თავისი მეტისმეტი გულმოწყალების შედეგად ხელს უწყობს ქვეყნის არევ-დარევას, რაც დასაბამს აძლევს ხოცვა-ჟლეტას და ძარცვა-გეჯას, ეს კი მთელი მოსახელობის ნამდვილი უბედურება გახლავთ. რაკი სიყვარულისა და შიშის შეთავსება შეუძლებელია, ჯობს მთავარი ხალხს შიშს უნერგავდეს ვიდრე სიყვარულს, ადამიანები ზოგადად უმადურნი არიან ამიტომ ვიდრე მათი კეთილისმყოფელი ხარ, ისინიც შენნი არიან, აღგითქვამენ, რომ არაფერს დაიშურებენ შენთვის მაშინ როცა საფრთხე ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ ხიფათის მოახლოებისთანავე ზურგს შეგაქცევენ. მთავარი ისე უნდა ნერგავდეს შიშს რომ, თუკი სიყვარულს ვერ მოიხვეჭს, სიძულვილი მაინც აიცილოს თავიდან, ვინაიდან ისიც დიდი საქმეა, რომ ხალხს ეშინოდეს შენი, მაგრამ არა სძულდე. ეს ორი გრძნობა შესაძლოა ერთდროულად არსებობდეს და მთავარიც ყოველთვის შესძლებს ამას, თუკი არ ხელყოფს ქვეშერდომთა სიცოცხლეს და საკუთრებას. მაშინაც კი, როცა მთავარი ვინმეს სიკვდილით დასჯას აპირებს, მას შუძლია სისრულეში მოიყვანოს თავისი განაჩენი, თჲკი საამისოდ საკმარისი სამხილი მოეპოვება, მაგრამ თავი უნდა შეიკავოს სხვისი ქონების ხელყოფისაგან, ვინაიდან ადამიანები უფრო ადვილად ურიგდებიან მამის გარდაცვალებას ვიდრე, სამკვირდოს მოშლას და მერე ძარცვა-გლეჯის მიზეზი არ დაილევა. როდესაც მთავარი წინ მიუძღვის ლაშქარს, მისთვის აუცილებელია, რომ არად აგდებდეს სასტიკი კაცის სახელს, ვინაიდან ამ სახელის გარეშე ვერც თავისი ლაშქრის ერთსულოვნებას შეინარჩუნებს და ვერც ბრძოლისუნარიანობას. კაცთა სიყვარულს მათი ნება-სურვილი განაპირობებს, შიშს კი- მთავრისა.

როგორ უნდა ესწრაფვოდნენ მთავრები იმას რომ სანდონი იყვნენ

დიდი საქმეების აღმსრულებლებად ყოველთვის გვევლინებოდნენ ის მთავრები, რომლებიც ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ ქვეშემრდომთა ნდობას და თავიანთი ცბიერებით ახერხებდნენ საბოლოოდ აერიათ მათთვის გზა-კვალი. არსებობს ბრძოლის ორი სახე : ბრძოლა კანონების და ძალის მეშვეობით. პირველი ნიშნეულია ადამიანებისათვის, მეორე კი მხეცებისათვის. მაგრამ რაკი პირველი ხშირად არასაკმარისია, ძალაუნებურად უნდა მივმართოთ ხოლმე მეორეს. ამიტომ მთავრისათვის აუცილებელია, რომ თანაბარი წარმატებით იბრძოდეს როგორც მხეცი და როგორც კაცი. ძველი მწერლები აღნიშნავდნენ, რომ აქილებსს და ძველი დროის ბევრ სხვა მთავარსაც აღსაზრდელად აბარებდნენ კენტავრ ქირონს, ნახევრად მხეცსა და

ნახევრად კაცის ზედამხედველობას, რადგან მთავარი უნდა ითვისებდეს და ისისხლორცებდეს ორივე ბუნებას და რომ ერთი მეორის გარეშე უდღეურია. კეთილგონიერი მთავარი შეუძლებელია თავისი აღთქმის ერთგული იყოს, თუკი ეს ერთგულება შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს მისთვის და თუ აღარ არსებობენ მიზეზები, რომლებაც ეს აღთქმა დაადებინეს. მთავრისთვის სულაც არ არის აუცილებელი, ყველა თვისებას ფლობდე, მეტიც თუ ფლობს და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ავლენ მათ, ისინი სახიფათონი არიან, ხოლო თუ თავის მოსაჩვენებლად იყენებ მათ, სასარგებლონი არიან შენთვის, სასარგებლოა ხალხს თავს აცჰვენებდე თითქოს გულმოწყალე, სარწმუნო , კაცთმოყვარე და პატიოსანი კაცი ხარ , არამარტო აჩვენებდე არამედ იყო კიდეც მაგრამ საჭიროების შემთხვევაში უნდა შეგეძლოს მათი საპირისპირო თვისებებად გარდაქმნა. ყველა კაცისა და მით უმეტეს მთავართა მოქმედებას, რომელსაც განსასჯელად ვერ წარუდგენ სასამართლოს, მისი საბოლოო შედეგის მიხედვით აფასებენ, დაე მთავარმა მხოლოდ გამარჯვებისა და ძალაუფლების შენარჩუნებისათვის იზრუნოს და საშუალებებს, რომლებითაც ამ მიზანს აღწევენ, ყოველთვის პატიოსნად და ქება-დიდების ღირსად შერაცხავენ, ვინაიდან ბორბოს მხოლოდ საქმის გონირვრული მხადე და საბოლოო შედეგი ხიბლავს.

როგორია ბედისწერის გავლენა კაცთა ცხოვრებაზე და როგორ შეიძება წინ აღუდგე მათ

ბედისწერა განაპირობებს ჩვენი მოქმედებების ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარს მთლიანად თუ არა , ოდნავ ნაკლებს მაინც, ჩვენავე გვნადობს. იგი ბობოქარ მდინარეს გავს გამძვინვარებული რომ გადმოლახავს ნაპირებს და წალეკავს ხეობებს. მიუხედავად ამისა, მაინც რცება იმის შესაძლებლობა, რომ ადამიანებმა, მყუდროების ჟამს რაიმე იღონონ მის წინააღმდეგ: აღმართონ მიწაყრილები, კაშხლები და ჯებირები, ისე რომ, ახალი წყალდიდობისას მდზინარე ან თავის კალაპოტში დაეტიოს ანდა მისი მძვინვარება ძველებურად მძაფრი და ყოვლისმმუსვრელი აღარ აღმოჩნდეს, ასეთივეა ბედისწერაც, რომელიც თავის ძალმოსილებას ავლენს იქ, სადაც არავის უზრუნვია იმაზე, რომ საპირისპირო ძალა დაეხვედრებინა მისთვის და რომელიც თავის მძვინვარებას მიმართავს იმ მხარეს სადაც არ ეგულება მისი დამაოკებელი ჯებირები. მთავარი რომელიც მთლიანად ბედისწერასაა მინდობილი, იღუპება, როგორც კი ბედი პირს იბრუნებს მისგან. ბედნიერია ის, ვისი მოქმედებაც დროის თავისებურებას ეთანხმება და ესადაგება და ზუსტად ასევე უბედურია ის ვისი მოქმედებაც დროს არ შეესაბამება. ერთი და იმავე მიზნისაკენ, დიდებისა და სიმდიდრისაკენ სწრაფვისას ადამიანები სხვადასხვანაირად იქცევიან, ერთნი სიფრთხილით მიიწევენ მიზნისკენ, მეორენი შეგური შემართებით, ერთნი ძალადობით, მეორენი ცბიერებით, ერთნი მოთმინებით, მეორენი სულსწრაფობით . ორი კაცი , რომელიც სხვადასხვაგვარად მოქმედებს, ერთსა და იმავე შედეგს აღწევს, მაშინ როდესაც ერთნაირად მოქმედი ორი კაციდან ერთი აღწევს, მეორე კი ვერ აღწევს მიზანს, ამითაა გამპირობებილი კეთილდღეობის ცვალებადობაც, რადგანაც თუ ფრთხილსა და წინდახედულ კაცს ისეთჯ დრო უდგას და გარემოებებიც იმნაირად ერწყმიან ერთმანეთს, რომ მისი მოქმედება მართებულია და ბედნიერი იქნება იგი მაგრამ თუ დროება გარემოებებთან ერთად იცვლება, მისი საქმე წასულია. ადამიანები, რომლებიც ჯიუტად მისდევენ მოქმედების ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ გზას, ბედნიერნი არიან მანამ , სანამ მათი მოქმედება და ბედისწერა ერთმანეთს შეესაბამებიან, წინააღმდეგ შემთხვევაშჯ, მათი ბედნიერება უბედურებით იცვლება.

კაცთა მოდგმის ბუნებით მდგომარეობაზე, მის ბედნიერებასა და უბედურებასთან კავშირო(ლევიათანი)

ბუნებამ იმდენად თანასწორნი შექმნა ადამიანები ფიზიკური და გონებრივი უნარების მხრივ, რომ, თუმცა ზოგი მათგანი შეიძლება სხვაზე აშკარად ღონიერი ან გონებაგახსნილი იყოს, საბოლოოდ ინდივიდები

მაინც იმდენადაც არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ვინმემ თქვას მე რაღაც ისეთი სიკეთე მეკუთვნის, რაზეც სხვას ასეთივე პრეტენზია ვერ ექნებაო.თანასწორობის დანახვას ხელს უშლის მხოლოდ გაზვიადებული წარმოდგენა საკუთარ სიბრძნეზე, რაც თითქმის ყველა ადამიანს აფიქრებინებს, ვიღაც მდაბიოებზე უფრო ბრძენი ვარო - ამ მდაბიოებში კი ყველა შეგვყავს, გარდა საკუთარი თავისა. ადამიანის ბუნებაში კონფლიქტის სამ ძირითად წყაროს ვპოულობთ: პირველია შეჯიბრი, მეორე - შიშჯ, მესამე კი - პატივმოყვარეობა. პირველი უბიძგებს ადამიანს მოხვეჭისთვის, მეორე- უსაფრთხოებისთვის, მესამე კი - სახელისთვის დაესხას თავს სხვას., პირველ შემთხვევაში კაცი ძალადობას იყენებს იმისთვის, რომ სხვა ადამიანებს დაეპატრონოს, მეორე შემთხვევაში - თავის დასაცავად, მესამეში, ისეთი წვრილმანებისთვის , როგორიცაა სიტყვა, ღიმილი განსხვავებული აზრი და სხვა. ადამიანებს არ აქვთ საერთო ძალაუფლება, რომელიც ყველას მოწიწების მდგომარეობაში ამყოფებს, ისინი ომად წოდებულ ვითარებაშჯ არიან და ეს არის ომი ყველა კაცსა და ყველა კაცს შორის. რამე თუ ომი არ არის მხოლოდ ბრძოლის ან შერკინების მომენტი, ომი ჰქვია დროის იმ მონაკვეთს, როდესაც საკმარისად ცხადია ბრძოლის გზით დაპირისპირების ნება, ყველა სხვა დროს კი მშვიდობა ჰქვია. ომის მდგომარეობიდან გამომდინარეობის ისიც, რომ უსამართლო მასში ვერაფერი იქნება. ბოროტებისა და სიკეთის, სამართიანობისა და უსამართლობის ცნებები აქ უადგილოა. სადაც არ არის საერთო ხელისუფლება არ არის კანონიც, სადაც არ არის კანონი ვერც უსამართლობა იქნება. ომში ორი ყველაზე დიდი სიქველე ძალა და ეშმაკობაა. სამართიანობა და უსამართლობა არც სხეულებრივი უნარია და არც გონებრივი. სხვა შემთხვევაში ისინი ამქვეყნად მარტო მცხოვრებ ადამიანსაც ისევე უნდა ჰქოდოდა, როგორც შეგრზნებები და ვნებები

პირველი და მეორე ბუნებითი კანონებისა და ხელშეკრულების შესახებ (ლევიათანი)

ბუნებითი უფლება არის ადამიანის თავისუფლება, გამოიყენოს საკუთარი ძალა ისე როგორც სურს, საკუთარი ბუნების ანუ სიცოცხლის შესანარჩუნებლად და შესაბამისად მოიმოქმედოს ნებისმიერი რამ რაც მისი მოსაზრებითა და განსჯით, ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო გზაა. თავისუფლება ამ სიტყვის ზუსტი მნიშნველობით გულისხმობს გარე შეზღუდვების არარსებობას. ასეთი შეზღუდვები ნაწილობრივ ართმევს ადამიანს შესაძლებოლობას, გააკეთოს ის, რაც სურს მაგრამ ხელს ვერ შეუშლის, გამოიყენოს დანარჩენი შესაძლებლობები, ისე როგორც სურს.
ბუნებითჯ კანონი არის მოთხოვნა ან გონებით მიკვლეული ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც ადამიანს ეკრძალება გააკეთოს ისეძთი რაბ, რაც მის სიცოცხლეს ხელყოფს, ან ვერ შეაზლებინებს მას ამ უკანასკნელის დაცვას და ხელი აიღოს იმ საშუალებებძე , რაც მისი აძრით, საუკეთესოა სიცოცხლის შესანარჩუნებლად მათი გარჩევა აუცილებელია, რადგან უფლება რამის გაკეთების ან რაიმესგან თავის შეკავების თავისუფლებაა, ხოლო კანონი გვიდგენს და გვავალდებულებს ქცევის ამა თუ იმ წესს. ასე რომ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც მოვალეობა და თავისუფლება.
უფლების დათმობა ხდება ან უბრალოდ, მასზე ხელის აღებით, ან მისი სხვისთვის გადაცემით, უბრალოდ ხელის აღება ნიშნავს, რომ ადამიანს არ აინტერესებს ვინ იხეირებს მისი გადაწყევტილებით. გადაცემასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მას საკუთარი გადაწყევტიებიდან მომდინარე სარგებელი რომელიმე პირვონებისთვის აქვს განსაზღვრული. როდესაც ადამიანმა ამა თუ იმ სახით უარი თქვა თავის უფლებაზე, ან ის სხვას უბოძა, მაშინ ის ვალდებულია , მისი გამოყენება არ დაუშალოს იმ ხალხს, ვისაც ეს უფლება გადასცა ან ვის სასარგებლოდაც თქვა უარი მასზე. მას მართებს და მისი მოვალეობაა, საკუთარი ნებით მიღებული ეს გადაწყვეტილება აღარ გააუქმოს. უფლების ურთიერთგადაცემა არის ის რასაც ხელშეკრულებას ეძახიან. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ, რაიმე საგნის მიმართ უფლების გადაცემა

და თავად ამ საგნის გადაცემა ანუ მიწოდება.

სახელმწიფოს მიზეზებზე, წარმოშობასა და განსაზღვრებაზე(ლევიათანი)

მიზანი თუ ჩანაფიქრი, რის გამოც ტავიუსფლებისა და ბუნებით სხვებზე ბატონობის მოყვარული ადამიანები იმგვარად იზღუდავენ თავს, როგორც ამას თანამედროვე სახელმწიფოებშ3 ვხედავთ, თვითსენახვის და მშვიდი ცხოვრების მოლოდინია. ისეთი ბუნებითკ3 კანონები როგორიცაა: სამართიანობა, თანასწორობა, თავმდაბლობა, გულმოწყალება, მოკლედ სხვის მიმართ ისე მოქცევა, როგორც გვინდა, რომ ჩვენ მოგვექცნენ, ცხადია, მათი შესრულების მაიძულებელი ძალის მიმართ ძრწოლის გარეშე, ეწინააღმდეგება ჩვენს ბუნებით ვნებებს, რომლებიც მიკერძოებისკენ გულზვიადობისკენ , შურისძიებისა და მსგავსი ქცევებისკენ გვიბიძგებენ. ერთადერთი გზა საერთო ძალაუფლების შექმნისა, რომელიც შეზლებს, დაიცვას ადამიანები უცხოელთა შემოსევებისა თუ ერთმანეთის მიმართ ვნების მიყენებისაგან და საშუალებას მისცებს მათ, საკუთარი შრომითა და მიწის ნაყოფის გამოყენებით გამოიკვებონ და დამაკმაყოფილებელი ცხოვრება ჰქონდეთ, არის ადამიანთა მთელი ძალისა და შემლების გადაცემმა ერთი კაცისტვის ან საკრებულოსთვის , რომელიც თავისი წევრების ნებებს ხმის უმრავლესობით ერთ ნებას დაუქვემდებარებს. ეს ნიშნავს რომ ადამიანებმა მათი სახელით სამოქმედოდ უნდა დანიშ§ონ ერთი კაცი ან საკრებულო, და თითოეულმა ყვლეა იმ მოქმედების მფლობელად და ავტორად უნდა გამოაცხადოს თავი , რასაც იგი ჩაიდენს, ან სხვას ჩაადენინებს საერთო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად. ამის შედეგად იქნება სახელმწიფო, ეეს დიადი ლევიათანი(ჭირიამას) რომელსაც უკვდავი ღმერთის ხელში. მშვიდობასა და უსაფრთხოებას ვუმადლით. რაკი ამ რწმუნების ძალით, რაც მას სახელმწიფოში თითოეული ადამიანისაგან აქვს მინიჭებული, მას იმედნი უფლება და ძალა აქვს, რომ ამ ძალისადმი შიშზე დაყრდნობით შეუძია ყველა მათგანის ნება მიმართოს საშინაო მშვიდობის მისაღწევად და გარე მტრის წინააღმდეგ. ამგვარ პიროვნებას ჰქვია სუვერენი და მას სუვერენული ძალაუფლება მიეწერება, ყველა სხვა კი მისი ქვეშემრდომია. სუვერენული ძალაუფლება კი ორგვარი გზით მოიპოვება, ბუნებრივი ძალით - აიძულოს დაექვემდებარონ მას, წინააღმდეგ შემთვევაში მათი განადგურება შეუძლია, რომელიც მოხვეჭის გზით შექმნილი სახელმწიფოა ხოლო მეორე- ხალხის თავისი ნებით დათანხმებით - იმის რწმენით, რომ ისინი მათ ყველა სხივსაგან დაიცავენ. ეს პოლიტიკური გზით შექმნილი სახელმწიფოა.